საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ხუთშაბათი 10 ივლისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 151

ერთობა

ფასი 1 მან.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დროებითი კომიტეტისა.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე შერეულზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელპიტი, რძალი მარუსი, შვილები: დათიკო, ფადიკო, ირაკლი და სევერიანე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. ლანჩხუთში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

გესარიონ გრიგოლის ძე ღულაძე

დაკრძალვა ხუთშაბათს 10 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაში ქალაქ ლანჩხუთში. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ჯიბო გრიგორის-ძე, ძმები: ვასო, შალვა, კოწია, კოლია და შურა,, დიდედა ანანო გველესიანისა, დეიდები: პელო გვარამაძისა, დარო კვალიაშვილისა და ოლანკა კიკნაძისა და ბიძა იაგორა გრ. გოგიშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარ

ალექსანდრა ჯიბოს ასულის გოგიშვილი-გველესიანის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გარდაიცვალა 5 ივლისს. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 10 ივლისს სოფელ შროშაში. (2—2)

თავზარდაცემულნი მეუღლე მიხეილ ივანეს ძე, შვილები: თამარია, ოლა, შალვა, ელენე, ვახტანგი და ქეთო, რძალი მარიამი ივანეს ასული კალანდაძენი, სიძე პოლიეკტი ილარიონის ძე ჯიბლაძე ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

მარიამ დიმიტრის ასულის კალანდაძისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. დაკრძალვა პარასკევს 12 მკათათვეს წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება პადგორნი პრახოდი № 3. (2—1)

გულმოკლულნი დედა ასპირო, მამა გაბრიელ, ძმები: პლატონ, ალექსანდრე და გრიშა; დები: ოლა, ვარდო, ტერეზი, მარო და ტაშო, სიძეები: პავლე ქელენტი, ილიკო თავამაიშვილი და ბიკტორ ინწკირველი, დის შვილები: ნინა და ფუდულია აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 12 ივლის გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულათ გარდაცვალებულის

სამსონ გაგრიელის ძე მდინარაძის

სოფ. ვაკიჯვარში (გურია) ვაკიჯვრის ეკლესიაზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სერგო! მშობლები ონისიმე და ეკა, მაზლები: ირაკლი და სარდიონი, რძლები ელენა და ანიჩკა, მულები: თევოლინა და ნატაშა თევზაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხუთი თვის ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას დაუვიწყარი

მარუსია კახიანის ასული თევზაძისა

გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავათმყოფოდან დღეს 10 ივლისს ნაშუადღევის სამ საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული დედა კატო, მამა სეფე, ძმა სიმონ, რძალი თამრო, დები პაშა და ქეთო კახიანები, სიძე ჭიჭიკო, დაი ნუცა კორძაიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

გუცუნა (მარიამ) კახიანის ასული თევზაძისა

დაკრძალვა მოხდება დღეს, 10 ივლისს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან ნაშუადღევის 3 საათზე

საქართველოს გონება

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი ახალ ბონების გამოცემისა საქართველოს რესპუბლიკის სახელით და პასუხისმგებლობით. როგორც ამ დეკრეტის გარშემო ატეხილ კამათიდან გამოირკვა, დამფუძნებელ კრებას სავსებით გათვალისწინებული აქვს მთელი სიმძიმე და მთელი დიდი მნიშვნელობა ამ ნაბიჯისა. ბონების საკითხი უწინაც მდგარა ჩვენს წინაშე. შარშან, როდესაც პარლამენტში იოჩეოდა ეს საკითხი, წმინდა ქართული ბონების გამოცემის მომხრენი მემარჯვენე ბანაკიდან გამოდიოდენ, მმართველი პარტია კი ამის წინააღმდეგი იყო; მან დაუჭირა მხარი ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემას, რაიც უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შეთანხმების შედეგი. ეს შეთანხმება ბონების გამოცემაში რომ წელსაც შესაძლებელი ყოფილიყო, ადერბეიჯანიც და სომხეთიც ბონების გამოცემაში ისევე დაინტერესებული ყოფილიყვნენ, როგორც ჩვენი რესპუბლიკა, მაშინ, ეჭვი არ არის, მმართველი პარტია დღესაც ამიერ-კავკასიის ბონებს არჩევდა.

მოსაზრება, რომლითაც სოციალდემოკრატია ხელმძღვანელობდა შარშან, და რომელსაც იგი წელსაც იზიარებს და რომელიც ყველასათვის უდავოთ არის მიჩნეული, იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოდ ფულის ნიშნები მით უფრო მკვიდრია, მით უფრო დიდს ნდობას იმსახურებენ ფართო საზოგადოებაში და მათი კურსი მით უფრო მაღლა სდგას, რაც უფრო დიდ რაიონს სწვდება მათი მსვლელობა, რაც უფრო მეტს მცხოვრებთა რიცხვს მიაჩნია ის ფულად. ამ მხრივ მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა მიერ მიღებული ფულის ნიშნები უკეთესი იქნებოდა მხოლოდ საქართველოს მცხოვრებთა მიერ მიღებულ ფულის ნიშნებზე. ამით ხელმძღვანელობდა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტია, როდესაც ამიერ-კავკასიის ბონებს უპირატესობას აძლევდა წმინდა ქართულ ბონების წინაშე.

მაგრამ წელს გარემოება შეიცვალა. ადერბეიჯანი, რომელიც გასულ წელსაც დიდის რყევის შემდეგ დათანხმდა საერთო ბონების განსაზღვრული რიცხვის გამოცემაზე, წელს ამას კატეგორიულათ უარყოფს.

მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკა იძულებული ხდება თითონ იზრუნოს ფულის ნიშნების გამოცემაზე, რადგან მეტი გამოსავალი არ არსებობს. მაგრამ ჩვენს დემოკრატიას და მთელს ჩვენს ხალხს ერთი რამ მტკიცედ უნდა ახსოვდეს: ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ იმაში, რომ ფულის ნიშნების ბეჭდვა, რაც შეიძლება ნაკლებ დაგვჭირდეს. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ცხოვრება ყოველმხრივ წესიერად მიდის, როდესაც სახელმწიფოს ყველა ორგანოები წესიერად და მწყობრად მოქმედებენ. პირველი აუცილებელი პირობა სახელმწიფოს სიმტკიცისა და მის ორგანოების წესიერად მოქმედებისა მდგომარეობს სახელმწიფოს ხაზინის სიძლიერეში, სახელმწიფოს საშუალებათა ზრდაში. ამ ზრდას—ამ სიძლიერეს, უპირველეს პირობას კი დღევანდელ მდგომარეობაში შეადგენს სახელმწიფო გადასახადების წესიერად შემოტანა მთელი ხალხის მიერ. ჩვენს ხალხში უძრავად და გამოუყენებლად დევს აუარებელი რაოდენობა ფულის ნიშნებისა. რაც უფრო მეტი გადასახადი შემოვა ხაზინაში ხალხის ზანდუკებიდან, მით უფრო ცოცხლად ატრიალდება ფული სახელმწიფოში, მით უფრო ნაკლებ დასჭირდება სახელმწიფოს ახალი ბონების ბეჭდვა, მით უფრო მაღლა იდგება ბონების კურსი, და მით უფრო წესიერად წავა საქონლის გაცვლა-გამოცვლა, აღებ-მიცემობა გაჩაღდება, წარმოება გამოცოცხლდება და მკვიდრ ნიადაგზე დადგება. ჩვენი ფულის ნიშნები უფრო მეტს ნდობას დაიმსახურებენ უცხოელთა თვალში და მთელი ჩვენი ცხოვრებაც მკვიდრ კალაპოტში ჩადგება. ჩვენი საკუთარ ბონების გამოცემის შედეგები, ამნაირად, ჩვენი ხალხის შეგნების სიმაღლესთან ყოფილა დაკავშირებული. ბონების გამოცემა აუცილებელია, მაგრამ ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრივ მომზადებაზე და სიმწიფეზე არის დამოკიდებული. სასარგებლო იქნება ეს ნაბიჯი თუ საზიანო.

ეს ზომა დროებითია, გარდამავალ საჭიროებით არის გამოწვეული. სახელმწიფოს უნდა მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს საკუთარ ვალიუტის შექმნას, რომ შესაძლებელია გახდეს ბონები ახლო მომავალში ნამდვილ ფულად შესცვალოს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მთავრობა ამაზე ზრუნავს და იმედი გვაქვს, რომ ეს ზრუნვა ახლო მომავალში გამარჯვებით დაგვირგვინდება.

უფლების ღალატი

რევოლიუციის პირველ ხანებში ამა თუ იმ დარგის მართვა-გამგეობა წილათ ხვდა შესაფერ პროფესიათა კავშირებს. კავშირების ასეთ მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირნათლათაც შეასრულეს თავისი ისტორიული მოვალეობა.

სამწუხაროთ, ასეთი მუშაობის პროცესში ზოგიერთი კავშირი ისე დაითრო ძალა-უფლებით, რომ მასზე ხელის აღება მაშინაც კი გაუძნელდათ, როცა ეს ასე დაჟინებით მოითხოვა ქვეყნის და ერის ინტერესებმა. აღსანიშნავია, რომ ასეთმა ტენდენციებმა უფრო წვრილ კავშირებში გაიდგა ფესვი. მაშინ, როცა მუშათა საბჭომ, რკინის გზის კომიტეტმა და სხვა ასეთმა მსხვილმა და ისტორიულმა ორგანოებმა სრულიად თავის ნებით იღეს ხელი მართვა-გამგეობის ფუნქციებზე და ეს უფლება ერთავად სოციალისტურ მთავრობას გადასცეს, ზოგიერთი წვრილი პროფესია დღემდის ებღაუჭება მას და იმდენათ კადნიერდება, რომ ეს ახირებული პრეტენზიები „დემოკრატიულ და სოციალისტურ“ ზომათ გამოაქვს.

ბოლოს და ბოლოს თითქმის ყველა კავშირებმა შეიგნო, რომ რესპუბლიკაში, სადაც დემოკრატიას უკვე ყავს ნდობით აღჭურვილი მთავრობა და სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობა ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში დგება, შეუძლებელია კავშირების იმ გზით სიარული, როგორც ეს იყო რევოლიუციის პირველ ხანებში; რომ კავშირებმა ახლა თავის შესაფერი ადგილი უნდა დაიჭირონ და მათ კიდევაც შეუფარდეს თავის მოღვაწეობა შექმნილ პირობებს და შეუდგენ იმ მუშაობას, რომელიც გამომდინარეობს თვით პროფესიონალურ კავშირის ბუნებისაგან.

ეს ვერ გაიგო, თუ არ გაიგო დღემდის მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის უმრავლესობამ. ისინი დღესაც ებღაუჭებიან ძალა-უფლების მითვისება-შერჩენას და მით ააშკარავებს თავის დღევანდელი მომენტისა და თავის მოვალეობის შეუგნებლობას.

მოხელეების მიღება-დათხოვა, გადაყვანა, აღმატება, ადმინისტრაციის კანტროლი და სხვა ასეთი უფლებები—ეს ყველა თურმე მათ უნდა ეკუთვნოდეს და ჰგონიათ, რომ სწორეთ ეს იქნება „შესაფერი დემოკრატიული და სოციალისტური საქართველოსი!“

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს ავიწყდებათ, რომ ისინი პირველ ყოვლისა არიან რესპუბლიკის მოხელენი და არ არსებობს და არც შეიძლება იყოს ქვეყანაზე ისეთი წყობილება, სადაც რესპუბლიკის მოხელეებს უფლება ჰქონდეთ თავის უწყება მართონ თავის ქეიფისამებრ და სახელმწიფოში სახელმწიფო შექმნან.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა შესაფერი სამსახური გაუწიეს რევოლიციას და რესპუბლიკას, მაგრამ ახლანდელი მათი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან მას შეაქვს დეზორგანიზაცია რესპუბლიკის მართვა-გამგეობაში, აფერხებს აღმაშენებლობითი მუშაობას. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა უნდა შეიგნონ, რომ პროფესიონალური კავშირი—ეს არის უმთავრესათ ორგანო ეკონომიური და კულტურული და არა ადმინისტრატიული. ისინი ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ რესპუბლიკის ყველა დარგის მართველი არის მთავრობა და მისი ორგანოები. ბრძოლა ამის წინააღმდეგ—არის ბრძოლა რეაქციონური და როგორც ასეთი, ის მუდამ მიუღებელია. ამიტომ ფოსტა-ტელეგრაფის დღევანდელმა ყრილობამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადასწყვიტოს—ვისთან არის ის:

—დემოკრატიასთან თუ მის წინააღმდეგ?

განი.

პრესა

„ახალ აზხატავორი“-ს (№ 1) სწერს:

„უკეთუ „ერთობა“ ზედმეტათ არ თვლის დაამტკიცოს, რომ სომხები საქართველოში დევნილი არიან, მაშინ კეთილი ინებოს და ჩვენ გვითხრას, თუ რისთვის განაგრძობენ შეპყრობას შულავერის, ბორჩალოს რაიონებში და სხვაგან?

„რისთვის ჰქმნის რაიონის კომისია ლიქინის ახალ საქმეს?

„რისთვის არიან მიცემული მხედველობის ქვეშ მაზრის რამდენიმე ცნობილი მოღვაწეები“?

დაშნაკციუტუნს კარგათ მოეხსენება, რომ სამართალში აძლევენ ბოროტ-მოქმედებისათვის, ხოლო ამავე მიზეზით იჭერენ საქართველოს რესპუბლიკაში არა მარტო სომხებს, არამედ—ქართველებს, ბერძნებს, თათრებს და სხვებს, განურჩევლად ეროვნებისა. თუ „აზხატავორს“ ჰგონია, მაინცდამაინც სომხის ხელის ხლება არ შეიძლება? ან იქნება იმიტომ ეწვის კუჭი „აზხატავორს“, რომ დაჭერილები მისი თანამოაზრენი არიან და მათ სწორეთ იმ მუხანათურ მოქმედებას ედება ბრალი, რომელსაც ადგილი ქონდა სომეხ-ქართველთა ომის დროს, და რომელშიც „აზხატავორის“ პარტია დიდ მონაწილეობას იღებდა იდეურათ და ფიზიკურად? ნუ თუ დემოკრატიას არ აქვს უფლება დამნაშავეებს პასუხი მოსთხოვოს?

და განა ეს ეროვნული დევნაა? პირიქით, ამის ეროვნულ დევნათ გასაღება—არის უტიფარი დემაგოგიის წარმოება თავის ცოდვების დასამალავად.

„განის“ წერილის გამო

გაზეთ „ერთობის“ გუშინდელ ნომერში (№ 150) მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება ნაციონალიზაციას („გაკვრით“), „განი“, სხვათა შორის, სწერს: სამწუხაროთ აქა-იქ ამ ნიადაგზე მრავალ კურიოზებს აქვს ადგილი. ყოფილმა გზათა სამინისტრომ მაგალითად საქმის წარმოებასთან ერთათ მოახდინა წარწერების გაქართულებაც და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა.

„ასეთივე ტენდენციით გაიმსჭვალა თფილისის ქალაქის თვითმართველობაც. ის შლის ქუჩების რუსულ წარწერებს და აწერს სახელებს ქართულათ. შეუცვალა ქართულათ სამარშრუტო წარწერა ტრამვაის და მით მგზავრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა“.

ᲓᲦᲔᲡ

ოთხთა საბჭომ წინადადება მისცა ფინლიანდიაში მყოფ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩებს დახმარება აღმოუჩინონ კოლჩაკს პეტროგრადზე შეტევის დროს.

ინგლისური პრესის ცნობით ატამან გრიგორიევმა ადესა აიღო.

საფრანგეთის მთავრობის მიერ მიღებული ცნობით მცირე აზიაში ენვერ ფაშის მეთაურობით 40 ათასამდე ოსმალოს ლაშქარი გროვდება.

ოთხთა საბჭომ გადასწყვიტა ვილჰელმის გასამართლება ლონდონში მოხდეს.

პეტლიურას ჯარმა უკრაინაში სადგური უმერინკა დაიკავა.

ფინლიანდიაში გაფიცვები დაიწყო.

„განის“ ეს დასკვნა, ჩემის ფიქრით, სწორი არ არის. ქალაქის თვითმართველობა არავითარ უკიდურესობაში არ გადავარდნილა. პირიქით, ის დიდს სიდინჯეს და თანდათანობას იჩენს ნაციონალიზაციის განხორციელების საქმეში.

გარდა ამისა „განმა“ არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენ გვაქვს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და ამ კანონით სულაც არ არის ნავარაუდევი, რომ ქართულ ენის გვერდით უსათუოდ რუსულიც დარჩეს.

რაც შეეხება წარწერების შეცვლის გამო ზოგი მოქალაქის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას, ეს, თავისთავად ცხადია, არ არის სასიამოვნო, მაგრამ არა გვგონია, რომ რუსულის დატოვებით აინც არ ჩავარდეს უხერხულ მდგომარეობაში ის, ვინც არც რუსული იცის.

ქალაქის დემოკრატიული თვითმართველობა ალბათ თითონ გამონახავს შესაფერ გზას, რომ ყველა მოქალაქის უფლება იყოს უზრუნველყოფილი, მაგრამ ის სულაც არ არის საჭიროებელი, რომ არსებული მიზანშეწონილი კანონი შეასრულა. ელი.

დამფუძნებელი კრება

8 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

კრებამ **ოლ. სოლოლაშვილის** მოხსენებით მიიღო საბოლოო ტექსტი შემდეგი კანონებისა და დეკრეტებისა: საზღვარ გარეთ სწავლა-განათლების, ან სპეციალ ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის 2 მილიონი მანეთის გადადებისა.—1919 წ. 27 მაისის კანონის დამატებისა ხაზინის შემოსავალის გასაძლიერებლათ ზოგიერთ ღონისძიებათა მიღებისათვის.—გადამდებ სენთან საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ერთ დროულად 2 მილ. მან. გადადების.—ადერბეიჯანის მთავრობისაგან გადმოცემულ 60 მილ. მან. ბონების პასუხისმგებლობის მიღებისა და დეკრეტი ქალაქ ფოთში მდ. რიონის ტოტზე ხიდის გასაკეთებლათ მილიონ ნახევარ მან. გადადებისა.

დეკრეტი საქართველოს ბონების გამოცემისა.

მომხსენებელი დ. ონიაშვილი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი ეხება ფრიად მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხს. საერთაშორისო ომმა, ამბობს მომხსენებელი, ყველა სახელმწიფოებში დაანგრია ეკონომიური ცხოვრება და გამოიწვია ფინანსიური კრიზისი. კერძოთ ამიერ-კავკასიაშიც საერთაშორისო პირობებით გამოწვეულმა ეკონომიურმა არევ-დარევამ და ფინანსიურმა კრიზისმა გამოიწვია ფულის სუროგატების (ბონების) გამოცემა, ჩვენ ბონებს ვსცემდით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თანხმობით, საერთო ემისიით. ეს თანხმობა დღეს აღარ არის. ადერბეიჯანს უკვე თავისი ფულები აქვს და ამის გამო ამიერ-კავკასიის ბონების ემისიაში მონაწილეთ შემდეგში არ იქნება.

მთავრობას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ახალი ბონების ბეჭდვა ფულის ღირებულებას დასცემდა, მაგრამ ლოგიკური აუცილებლობა მოითხოვდა ამ ნაბიჯის გადადგმას. რასაკვირველია, ბონებს ნამდვილი ფული სჯობია, მაგრამ ვალიუტის უქონლობის გამო ნამდვილი ფულის გამოცემა ამ ჟამად შეუძლებელი ხდება. მთავრობამ უნდა გამოსცეს სულ 300 მილიონი მანეთის ბონები. ეს ბონები უზრუნველყოფილია საქართველოს მთელი ქონებით.

აზრთა მცირე გაცვლა გმოცვლის შემდეგ, მუხლობრივად განხილულ იქნა დეკრეტი და კრებამ მიიღო ისე, როგორც იყო წარმოდგენილი.

ს. ჯაფარიძის მოხსენებით მოხდა მეორე მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა უქრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევის დროებით დაჭერის და მისით სარგებლობით მონაწილეობის დაწესების შესახებ—სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

კანონ-პროექტი მცირე შესწორებით მიღებულ იქნა.

უკანასკნელი ცნობები

ბ ა თ უ მ ი

კლუბის გაძარცვა.

4 ივლისს, ღამით „ინტერნაციონალ“ კლუბს თავს დაესხა 10-მდე შეიარაღებული პირი, მოთამაშენი შერეკეს ერთ ოთახში, შემდეგ თითოეულად ყველანი გაჩხრიკეს და ჩამოართვეს ფულები, ძვირფასი ნივთები და სხ. სულ წაიღეს ფულად და ნივთებით 1 მილიონის საღირალი და მიიმალენ.

მოხალისეთა დროშა.

ამას წინად მდ. ჩოლოქის პირად (საზღვარზე) აღმართული მოხალისეთა ჯარის დროშა ჩამოხსნილ იქნა და მის ნაცვლად აღიმართა ინგლისის დროშა.

საქველმოქმედო საღამო.

2 ივლისს სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გამართულ საღამოს დიდძალი მუსლიმანი ქართველობა დაესწრო. იყვნენ სოფლებიდან ჩამოსულნიც, მრავალ იყვნენ აგრეთვე ქრისტიანი ქართველებიც. საღამოს დაესწრნენ იტალიელი სტუმრები. საღამო დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა.

ბ ა ქ უ

გაზეთების დახურვა.

მთავრობის განკარგულებით დაიხურა „ედინაია როსსია“ და „ნაბატი“.

მთავრობის განცხადება

რომ ბოლო მოეღოს ბოროტ პირთა მიერ გავრცელებულ ხმებს გაზეთ „აბშატავორის“ დახურვის გამო და გასავალი არ ექნეს საზოგადოებაში იმ პირთა აგიტაციას, რომელნიც გაზეთის დახურვის ფაქტით ცდილობენ თავიანთი საქმეები აკეთონ და ათასგვარი ყალბი ხმები გაავრცელონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოვალეთ რაცხს თავის-თავს გააცნოს ფართო საზოგადოებას საქმის ვითარება.

საქართველოს მთავრობა არავის არ უკრძალავს პრესაში აწარმოვონ მთავრობის მოქმედების შესახებ კრიტიკა, მაგრამ მთავრობას არ შეუძლიან დაუშვას ის, რომ რესპუბლიკის საზღვრებში გამოდიოდეს ისეთი ორგანო, რომელიც მოათავსებს წერილებს აშკარა მტრულს არა მარტო რესპუბლიკის მთავრობის მიმართ, არამედ—მთელი მისი მოსახლეობის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ ბევრი ენერგია და შრომა დახარჯა, რომ ამიერ-კავკასიის ერები დაახლოვებოდენ ერთმანეთს და მთავრობას არ შეუძლია გულგრილათ უყუროს იმ გარემოებას, რომ ტენდენციური და წინასწარ განზრახული ყალბი ცნობებით ხელი შეუშალონ ამიერ-კავკასიის ერების შეკავშირებას და სთესონ ერთა შორის შუღლი და მტრობა. ასეთი იყო მიმართულება უკანასკნელ დროს გაზეთ „აშბატავორისა“. გაზეთი წერილში—„მენშევიკების ცარიზმში“ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიას უწოდებს „სოციალ-მოღალატეებს“ მთავრობის პოლიტიკას კი „აზიურათ“ ნათლავს. ამ პოლიტიკის შედეგათ გაზეთი სთვლის იმ გარემოებას, რომ გადასახლებული იყვნენ ქალაქიდან „მშრომელი ეზიდები“. სამინისტრო აცხადებს, რომ ეს ცნობა სრულიადაც არ შეეფერება სიმართლეს. რათა აცდენილ იქნეს ყოველგვარ გადამდებ სენის გავრცელება ქალაქში, სამინისტრო გზავნის მე-300 ვერსზე განურჩევლად ეროვნებისა ყველა მათ, რომლებსაც არ ძალუძთ თავიანთ შრომით ირჩინონ თავი. 15 მაისს გაზეთი თავის მოწინავე წერილში (№ 95-ში) სწერდა შემდეგს: „საქართველოს მთავრობის დამღუპველ პოლიტიკის წყალობით დაიღუპა 50 პროც. ახალქალაქის ლტოლვილებისა. ახალქალაქში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი სთვლიან თავიანთ იქ ყოფნას, როგორც დროებით მოვლენას და ამიტომაც ადგილობრივ მოსახლეობის მიმართ აწარმოებენ მტაცებლობის პოლიტიკას. ისინი სამსახურში იღებენ შოვინისტებს, მძარცველებს, რომელთა უმთავრესი მიზანი არის, რაც შეიძლება მეტად გაატყავონ ისედაც გაძვალტყავებულნი, ლტოლვილნი. ოფიციალურ მძარცველებს ბანს აძლევენ ოფიციალური ყაჩაღები, რომლებიც პერიოდულად სძარცვავენ ლტოლვილებს, აი ასეთ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი გლეხები, რომლებიც მოკლებული არიან საშვალებას პროტესტი განაცხადონ. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი არ იღებენ არავითარ ზომებს, რათა ბოლო მოეღოს ამგვარ მდგომარეობას, პირიქით, ისინი არა ოფიციალურად ხელსაც უწყობენ ყოველივე ამას“.

სამინისტროს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ეს მეთაური წერილი სიყალბეზეა აშენებული. რომ ახალქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში წესრიგი დამყარებულიყო, იქ გაიგზავნა მთავრობის მიერ რწმუნებულნი, რომლებიც იღებდენ ყოველივე ზომებს, რომ არავითარი ბოროტ-მოქმედება დაუსჯელი არ დარჩენილიყო და იღებდენ ყოველივე ზომებს, რომ წესიერება აღდგენილი ყოფილიყო.

ადმინისტრაციაში მოსამსახურე პირნი, რომელნიც კი შემჩნეული იყვნენ რაიმე უკანონო მოქმედებაში, დაუყონებლივ იდევნებოდენ სამსახურიდან და მათ არც უფლება ეძლეოდათ მაზრაში ცხოვრების. რაც შეეხება ლტოლვილებს, საქართველოს მთავრობა, განურჩევლად ეროვნებისა, იღებდა და იღებს ყოველივე ზომებს შეუმსუბუქოს მათ მძიმე მდგომარეობა. სამინისტროს არც ერთი საჩივარი არ მიუღია ლტოლვილებისაგან ადმინისტრაციის მოხელეების შესახებ, თუმცა ამის სრული საშუალება აქვთ ლტოლვილებს. 3 ივნისის 108 ნომერში „აშბატავორი“ ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას იმაში, რომ მან მოატყუა სომხეთის ნაციონალური საბჭო ბორჩალოს მაზრაში მომხდარ კონფლიქტის ლიკვიდაციის დროს. გაზეთი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებას ადარებს ყოფილ რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრის შეგლოვიტოვის მოქმედებას, რომელმაც აღეჭურვა გამომძიებელი ლიქინი ფართე უფლებებით სომხების წინააღმდეგ. ამავე წერილში გაზეთი აღნიშნავს, რომ შულავრიდან თფილისში ჩამოყვანილი ზარგარიანი და არუთუნიანი დაკითხვის შემდეგ თავდებ ქვეშ გაანთავისუფლეს, „ალლახმა“ იცის „რა ფასით“ სწერს გაზეთი და წერილს ასე ათავებს: „საჭიროა მოხდეს ლიკვიდაცია ამ სამარცხვინო კონფლიქტის, უნდა განთავისუფლებულ იქნენ ყველა დაჭერილნი, უკიდურეს შემთხვევაში, შედეგები ფრიად სამწუხარო იქნება“.

გაზეთის 122 და 127 ნომერში აღნიშნულია, რომ სომხები იდევნებიან ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ და ეს ხდება მთავრობის თანხმობითო. ყოველი მოქალაქის უფლება დაცული არის კანონის მიერ; თუ ადმინისტრაციამ დაუშვა რაიმე უკანონო მოქმედება, მთავრობა, რა წამსაც შეიტყობს, მიიღებს ყოველივე ზომებს ალაგმოს ადმინისტრაციის მოხელეთა თვითნებობანი. 130 ნომერში გაზეთი, არჩევს რა ადერბეიჯანის და საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას, დაასკვნის, რომ ეს არის განზრახვა მოსპონ სომხეთი. ასეთი უსაფუძვლო განცხადება, აღვივებს ნაციონალურ შუღლს და ამხედრებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სომხებს, ქართველების და მუსულმანების წინააღმდეგ. ასეთი საზიანო აგიტაცია, სადაც არ უნდა სწარმოებდეს იგი, პრესაში იქნება თუ სხვაგან, არ შეიძლება დაშვებულ იქნას მთავრობის მიერ.

მთავრობა ყოველივე საშუალებით შეეცდება ალაგმოს ისინი, რომელნიც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესრიგის წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 ივლისი.

ინგლისური პრესის ცნობები.

ავსტრიის დელეგაციამ პარიზში კონფერენციას გადასცა ვრცელი მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია ყოფილ ავსტრიის სხვა ერთა დამოკიდებულება ავსტრიისადმი და აღიარებულია უკანასკნელის პასუხისმგებლობა ომის შედეგებისა. მემორანდუმი ირწმუნება, რომ ავსტრიაში არ ყოფილა ერთი გაბატონებული და რამოდენიმე დამონებული ერი.

გენ. გრიგორიევმა ბალშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ჯარების მთავარსარდალს დეპეშით აუწყა, რომ მკაცრი ბრძოლის შემდეგ მან აიღო ადესა, სადაც მცხოვრებნი მას დიდის აღტაცებით შეხვდენ.

მაინის ფრანკფურტში მოხდა დიდი დემონსტრაცია, რომელზედაც მოითხოვდენ მუშაობის განახლებას და რკინის გზის ადმინისტრაციის დემოკრატიზაციას.

ნორვეგიის მთავრობამ საზავო კონფერენციას თხოვნით მიმართა, რომ გერმანიამ მას აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენეს ომის დროს წყალქვეშათა მიერ მისი გემების და მეზღვაურთა დაღუპვით. ეს საკითხი ზარალის ანაზღაურების კომისიას გადაეცა. ნორვეგიელებმა წარმოადგინეს აგრეთვე მოთხოვნილება შპიცბერგენის შესახებ.

ხუთთა საბჭომ წინადადება მისცა ჰელსინგფორსში მყოფ ამერიკის, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებს, რომ დაეხმარნენ კოლჩაკს, ასრულონ მისი თხოვნა და აგრეთვე დახმარება გაუწიონ ფინნებს პეტროგრადზე შეტევის დროს.

საფრანგეთის ოფიციალურმა წრეებმა ცნობები მიიღეს, რომ ოსმალები მცირე აზიაში თავს უყრიან 40,000 ჯარს, რომელსაც დიდძალი მძიმე არტილერია და ტყვიისმფრქვეველები აქვს, აღნიშნავენ, ვითომ ენვერ-ფაშისთვის უთხოვნიათ, რომ ამ ჯარს ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ფინეთის პარლამენტი ივლისის 10 თვის უნდა მოეწვიათ პრეზიდენტის ასარჩევად. მანერჰეიმის კანდიდატურის წინააღმდეგ ბევრია.

ბერლინის რკინის გზის ტრამვაის და სხვა მოსამსახურეთა გაფიცვები არ შეწყვეტილა, თუმცა მოსამსახურენი მზად არიან დამქირავებლებთან მოლაპარაკება დაიწყონ.

ტიროლის პარლამენტი ბრუერმა და მისმა მეგობრებმა აიძულეს, რომ ტიროლი გერმანულ ავსტრიასთან საბოლოოდ შეერთებულად გამოეცხადებინა.

ლიონიდან იუწყებიან; ოთხთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ კაიზერი ლონდონში უნდა გაასამართლონ. ამერიკის დელეგატებს ამის შესახებ ჯერ ცნობები არა აქვთ და აღიარებენ, რომ საჭირო არ არის, მათ ეხლავე შეატყობინონ ეს, რადგან ვილსონს წასვლის წინ ბევრი საქმე აქვს და კაიზერის შესახებ ან დაავიწყდა ან და კაიზერის დასჯას ისეთსავე მნიშვნელობას აძლევს, (გაუგებარია).

ბალშევიკების ცნობები

მოსკოვი. ივლის. 8. **სამხედრო ცნობა.** ივლის. 8. **დასავლეთის ფრონტი:** ფინეთის ყურეში ჩვენმა ჰაეროპლანმა მოწინააღმდეგის სამხედრო გემებს ყუმბარები დაუშინა. რიგის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ბალტიის რკინის გზაზე ჩვენ კონობოვიელი ბრუდა და ლეტოშჩიელი დავიჭირეთ. ნოვო-სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ტბისკენ (?) დაიხია. მტერმა ქმერინკა დაიჭირა. ჩვენ პროსკუროვო დავიჭირეთ. **სამხრეთის ფრონტი.** ეკატერინოსლავის მიმართულებით მოწინააღმდეგემ მილოროადოვკა დაიჭირა. ხარკოვის მიმართულებით ჩვენ სადგური ისკროვკა დავსტოვეთ. ჩრდილოეთით ჩვენ ხოტმიჟსკი დავსტოვეთ. ბელოგოროდის მიმართულებით ბრძოლაა. ვალიუსკის მიმართულებით ჩვენ მდ. ტიბაია სოსნასთან პოზიციები დავსტოვეთ. ბირუჩის ჩრდ.-აღმოსავლეთით ბრძოლაა. ბორისოგლებსკის მიმართულებით დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეს სამხრეთისაკენ დავახევინეთ. სადგ. ვოლკონსკაიასთან ჩვენ 700 კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ და ხელთ ვიგდეთ მრავალი სამხედრო ქონება. კამიშინის მიმართულებით მოწინაღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ- **აღმოსავლეთის ფრონტი.** პუგაჩოვის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბუზულუკის რაიონში ბარაფინოვკასთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. 10 ვერ. წინ წავიწიეთ და გარშინო დავიჭირეთ. კრასნოუფის მიმართულებით ჩვენ ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 ვერსზე გამოვედით. კუნგურის მიმართულებით სადგ. ტულუმბუზის ხაზზე ბრძოლაა. პერმის რაიონში რკ. გზის ჩრდილოეთით ვერხნე-ჩუსოვკაია-გოროდოკ-ბოლიზენსკოე-გორუდენსკოს მივაღწიეთ. მდ. კამაზე, ჩვენ ეკატერინენსკის და კოჟევსკის ქარხნები დავიჭირეთ. **კიევი.** ივლის. 7. **სამხედრო ცნობა.** ბროდის მიმართულებით მოწინააღმდეგე შეტევის დაწყებას სცდილობდა, მაგრამ ხელი შეუშალეთ. პროსკუროვოს მიმართულებით დაბა ნიკოლაევსკის რაიონში ჩვენ ზაზულინეცი, გრანოვიცი და პოლოვიე დავიჭირეთ. სოფ. ხოტკოვცთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ვოლოჩისკის მიმართულებით ქმერნიკას რაიონში მოწინააღმდეგემ ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით ენერგიული შემოტევა დაიწყო და პოდპოლსკასთან გამოვიდა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მდგომარეობა აღადგინა და მტერს დიდი ზარალი მიაყენა. ეკატერინოსლავის მიმართულებით დუხარევკა დავიჭირეთ და ლევკაზე შეტევას განვაგრძობთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით სად. ვოლანპიასთან ჩვენი შეტევა გრძელდება. ზოლოჩევის მიმართულებით მოწინააღმდეგე, რომელიც ქალ. გაიკოვორონთან გვიტევდა, უკუ ვაგდეთ. **მოსკოვი.** ივლის. 7. სახალხო კომისარმა სტალინმა „პრავდა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა: „მოწინააღმდეგეთა ძალა პეტროგრადთან, როგორც სჩანს, დიდი არ არის: მოწინააღმდეგეს თავისი ჯარის იმედი ჰქონდა არა იმდენათ, რამდენათაც ჩვენი ზურგის თეთრგვარდიელების, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ. კრასნაია გორკა ისევ დავიბრუნეთ, პეტროგრადის

ბურჟუაზიული ბანაკების საფუძვლიანი განწმენდა უკვე დაიწყო. რაბიანკოს სურსათი არ აქვს. ესტლიანდიაში და ფინეთში რევოლიუციონური მოძრაობა იწყება. წითელი ჯარი პეტროგრადთან გაიმარჯვებს. **სამხედრო ცნობა.** ივლის. 8. **დასავლეთის ფრონტი.** მურმანის მიმართულებით სადგური კაპერილგა დავსტოვეთ. პეტროზავოდსკის და ოლონეცის რაიონში ჩვენ სოფ. კინდასოვა-კუჩურა-ზაიაზია-სილგას მივაღწიეთ. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა 1000 თოფი, 50000 ტყვია. ნარვის მიმართულებით პეტროჰოფის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. სამხრეთით მდ. ლავაზე ჩვენ სტარინა დავიჭირეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. ნოვოსვენციანის მიმართულებით დისნას ტბის სამხრეთით ჩვენ სოფელი დავიჭირეთ. მინსკის რაიონში მოლოდჩინის მიმართულებით მტრის იერიშები დაბა დაუბროვთან მოვიგერიეთ. ლუნინეცის რაიონში ჩვენ მალკოვიჩისკენ დავიხიეთ. პინსკის მიმართულებით ჩვენ მდ. ბობრიკის ხაზისკენ დავიხიეთ. ვოლოჩისკის მიმართულებით პროსკუროვის ჩერნი-ასტრომან ილოვკას გარდა ეკატერინოვკა დავიჭირეთ. სამხრეთის ფრონტი. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სუხაჩევკა და ზაპოროჟიე დასტოვა. ჩვენ შნიკოვკა დავიჭირეთ. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ. ბელგოროდის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ვალჟისკის მიმართულებით ნოვო-ოსკოლის აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. აქ ჩვენ ხელში ჩაგვივარდა 20,000 ტყვია. აღმოსავლეთით ჩვენ ბირიუჩი დავსტოვეთ. ვორონეჟის მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 600 კაცი და ხელში ჩაგვივარდა 3 ტყვიისმფრქვეველი. ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ახალი ადგილები დაიჭირა. ჩვენ ბალაშოვო ისევ დავიბრუნეთ. კამიშინის რაიონში მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა მტრის ბატარეა. **აღმოსავლეთის ფრონტი.** პუგაჩოვის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ბუზულუკის რაიონში ჩვენ 1 სოფელი დავიჭირეთ. ორენბურგის რაიონში ტავიშჩევთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ზლატოუსტის რაიონში ჩვენ ვიაზოვაია დავიჭირეთ. კრასნოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ეკატერინობურგის და კუნგურის რკ. გზის მიმართ. კუნგურის რაიონში ჩვენ შატაკვინსკის ქარხანა დავიჭირეთ. 200 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. ივლისის 6. ჩვენ მხარეზე 3 პოლკი გადმოვიდა. ერთი როტა ფელდფებელებით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. პერმის რაიონში ჩვენ სად. სილვა დავიჭირეთ. **კიევი.** ივლის. 7. **სამხედრო ცნობა.** კოველის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია და მდ. სტირის რკ. გზ. ხაზზე გადმოვიდა. კონტრ-იერიშებით მდგომარეობა აღვადგინეთ. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ვოლოჩინსკის მიმართულებით ჩვენ ჟმერინკა დავსტოვეთ. ჩვენ 2 სოფ. დავიჭირეთ. **მოსკოვი.** ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ სადგ. სუხაჩავკა და ზაპოროჟიე დავსტოვეთ. კონსტანტინოსლავის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ქალაქ გაივორონკოს რაიონში ბრძოლის შემდეგ ზოგიერთ ადგილას მტერმა დაიხია. **კიევი.** ივ. 7. ჟმერინკის დაჭერის შესახებ გავლენიანი სამხედრო პირები იუწყებიან, რომ პეტლიურას ჯარი, რომელიც დერაჟაიასთან დამარცხდა, იძულებული შეიქნა სამხრეთისაკენ წასულიყო კამენეც-პოდოლსკზე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მობრუნდა, ჟმერინკისაკენ, ბარონოვიჩთან ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით მათ ჟმერინკა დაიჭირეს. ამავე დროს საბჭოთა ჯარი მოწინააღმდეგის ზურგში გამოვიდა და პროსკუროვი, ვოიდავკი, მანილოვკა, ეკატერინოვკა და რამდენიმე სადგური დაიჭირა. პეტლიურას ჯარის საბოლოოდ დასამარცხებლად ჟმერინკის რაიონში ჯარი იგზავნება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. თვითმართველობის დარბაზში შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის და ყველა მისი ორგანიზაციების სხდომა.

✦ **სიკვდილით დასჯის განაჩენი.** სიღნაღის მაზრაში ამას წინად ვერაგულად მოკლულ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის მკვლელებს 9 კაცს თფილისის საგანგებო სასამართლოს სესიამ სიღნაღში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ამათ პირდაპირი მონაწილეობა დაუმტკიცდათ სარაჯიშვილის მკვლელობაში.

✦ **შრომის სამინისტროს** განზრახული აქვს მომრიგებელ კამერის შრომის სასამართლოთ გადაქცევა. ამისათვის მან მიმართა თხოვნით იუსტიციის სამინისტროს, რათა უკანასკნელმა გაუგზავნოს მას გამოცდილი წევრი სასამართლო უწყებისა, მომრიგებელ კამერის საქმის ფორმალურ მხარესთან გასაცნობათ და მისი შრომის სასამართლოთ გადასაქცევათ საჭირო ზომების მისაღებათ.

✦ **ავტომობილების მთავარ სახელოსნოების** მუშები გაიფიცნენ სამუშაო ქირის მიუღებლობის გამო. შრომის მინისტრის ამხანაგმა წინადადება მისცა სატრანსპორტო საზოგადოებას, რომლის ხელშიაც ეს სახელოსნოები იმყოფება, მიიღოს ზომები მუშების დასაკმაყოფილებლათ.

✦ **სატრანსპორტო საქმის მოსაწესრიგებლად.** გუშინ გზათა და შრომის მინისტრები და გზათა დეპარტამენტის დირექტორი, გაემგზავრნენ ფოთში სატრანსპორტო საქმის და „პორტის“ მუშების სამუშაო ხელფასის საკითხების მოსაწესრიგებლად.

✦ **საერობო არჩევნები** თიანეთის მაზრაში დამთავრდა. ახმეტის რაიონში იყო სულ 4471 ამრჩეველი. ხმა მისცა 2960 კაცმა. ს. დემ. მიიღეს 2867 ხმა, ნაც. დემ.—22, სოც. ფედ.—71.

✦ **უბედური შემთხვევა.** 8 ივლისს მიხეილის პროსპექტზე ავტომობილი დაეჯახა ლეონიდე მგელაძეს და ძლიერ დააშავა. დაშავებული წაიყვანეს მიხეილის საავათმყოფოში.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფში.** ამა წლის 9 მკათათვიდან ყოველი ჯგუფური (ხუთამდე) ამანათი და ისეთები, რომელთ წონაც ოცს გირვანქას აღემატება, მიეცემათ მიმღებთ პირდაპირ რკინის გზის სადგურიდან. დროებით, ვიდრე საჭირო შენობა იქნებოდეს აგებული, ამანათების მიცემის ოპერაციათა წარმოება მოხდება ფოსტის ვაგონში, რომელიც ჩამოყენებულია ბორჯომის საგარაკო შუკაში (тупикъ). მოქალაქენი, რომლებიც მიიღებენ ფოსტიდან უწყებას მათ სახელზე ჯგუფურისა, ან ოც გირვანქაზე მეტის წონის ამანათების მიღების შესახებ, კეთილ ინებებენ და მიმართავენ საქმე დღეებში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე და უქმე დღეებში დილის 9 საათიდან 10 საათამდე რკინის გზაზე ამანათების მიმცემ მოხელეს ზემოდ დასახელებულ ვაგონში.

ქრონიკა

დღეს საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. ჰ. მეორე რაიონულ კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, 10 ივლისს საღამოს 7 ს. შესდგება ქალაქის საბჭოს სოც. დემოკრატიული ფრაქციის სხდომა.

— ხვალ, საღამოს 7 საათზე თავის ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, სახლი 9) დანიშნულია ჩულურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს., ბიუროს ბინაზე, დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მე-4 რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

სავალდებულო დადგენილება

საგუბერნიო შრომის კომისარმა შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა: „ქალაქში ხოლერით ავათმყოფობა დაიწყო. რომ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა ნაყოფიერი იქნეს, წინადადებას ვაძლევ ქ. თფილისში და გუბერნიაში არსებულ ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოების, სავაჭრო დაწესებულებების და სხვათა სამუშაოების გამგეებს, დაუყონებლივ იქონიონ საკმაოდ სასმელი გადადუღებული წყალი, გასუფთავებულ იქნას სამუშაო ადგილები და მუშათა საცხოვრებელი ბინები ყოველგვარი უსუფთაობისაგან, მოხდეს უსუფთაო ადგილების დეზინფექცია და ასრულებულ იქნას უსიტყვოდ სასანიტარო-ტეხნიკური ზედამხედველობის განკარგულებანი. შრომის სამინისტროს რწმუნებულთ, მუშებს და მათ ორგანიზაციებს მოვუწოდებ ენერგიულად დაიცვან ხოლერის ყველა საწინააღმდეგო ზომები და შეასრულონ ეს დადგენილება. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი მიცემული იქნებიან ჩემ მიერ პასუხისგებაში“.

შრომის საგ. კომისარი **ლ. ელბაქიანი**

ბრიტანეთის სამხედრო ფოსტა

ბრიტანეთის სამხედრო ფოსტა ბათუმში ღებულობს წერილებს ანტანტის ქვეყნებში გადასაგზავნათ. კორესპოდენციები გაიგზავნება შემდეგ ადგილებში: ლონდონში, პარიზში, რომში, ათინაში, ბუქარესტში, ნიუ-იორკში თუ შესაძლებელი იქნა, თუ არა და შეერთებული შტატების კორესპოდენცია გადაეცემა ლონდონის ფოსტას.

ბრიტანეთის სამხედრო ფოსტის კანტორა ღებულობს მხოლოდ სტამბოლის, ეგვიპტის და აღმოსავლეთის კორესპონდენციას, რადგან ბრიტანეთის ფოსტა პასუხს არ აგებს ფოსტის გადატან-გადმოტანისთვის ამიერკავკასიის საზღვრებში, ამიტომ საჭიროა იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამგვარი კორესპონდენციის გადაგზავნით ანტანტის ქვეყნებში, თითონ მოაწყონ ფოსტის გადაგზავნა ბათუმის ქალაქის ფოსტის კანტორაში.

მთელი კორესპონდენცია, რომელიც გაივლის ბათუმის ქალაქის ფოსტის კანტორაში, უკანასკნელი პასუხისგებით, გაივლის ბრიტანეთის სამხედრო ცენზურის ქვეშ სტამბოლში.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ ბრიტანეთის ჯარების ფოსტის წარმომადგენელს ბათუმში შემდეგი მისამართით: Д. А. Д. P. S.

უცხოეთი

მღელვარება ისპანიაში.

პარლამენტის არჩევნებმა დიდი გამოხმაურება მოიპოვა პროვინციაში. ორ ქალაქში—კონსუეგრში და კვინტანარში დიდი არეულობა მოხდა, რამაც გამოიწვია ნაციონალური გვარდიის საქმეში ჩარევა—ბევრია დაჭრილი, ერთი მოჰკლეს. პროვ. სევილიაში მოხდა შეტაკება ჯარსა და გლეხებს შორის. მიზეზი შეტაკების ის იყო, რომ სამეურნეო დარგში მომუშავე მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, მემამულეებმა შეადგინეს რაზმი მომუშავეებისა, რომელთაც იცავდენ გვარდიელები, მომუშავეებს თავს დაესხენ გაფიცულნი და მოხდა შეტაკება. მეფემ დაავალა გენერალ ლა-ბარეტს მიიღოს სასტიკი ზომები და აჯანყება ჩააქროს, თუ საჭიროება მოითხოვს, იარაღს მიმართოს. გენერლის განკარგულებაში იმყოფება ნაციონალური გვარდია. ანდალუზიაში მოსავლის მოკრების დროს ყოველთვის სწარმოებდა აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ. არეულობას ეხლა უფრო ფართო ხასიათი მისცა არჩევნების მოახლოებამ და სინდიკალისტების აგიტაციამ.

ჩინეთის პროტესტი.

ჩინეთის საზავო დელეგაციას დავალებული აქვს თავის მთავრობისაგან გერმანიის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს განაცხადოს პროტესტი შანტუნის ნახევარ კუნძულის იაპონიის ხელში გადასვლის შესახებ. გაზეთ „ტიმესის“ კორესპოდენტი თავის მხრივ დასძენს, რომ ლოიდ ჯორჯი და კლემანსო იმ აზრს იზიარებენ, რომ ზემოხსენებული ნახევარი კუნძული იაპონიას უნდა გადაეცეს. ამერიკელები ჩინეთს ემხრობიან.

გიანზინის ამბები.

11 მარტს, იაპონიის კონცესიაზე მოხდა შეტაკება ამერიკელ და იაპონიელ ჯარისკაცებს შორის. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი. იაპონელმა მილიციონერებმა შეიპყრეს ამერიკელები და გადასცეს ისინი ამერიკის აფიცრებს. მეორე დღეს მთელი ჯგუფი ამერიკის ჯარისკაცებისა გამოცხადდა კონცესიაზე და სცემეს რამდენიმე იაპონელს. ამის შემდეგ ამერიკელი ჯარისკაცები გადავიდენ საფრანგეთის კონცესიებზე; ამ დროს იაპონელები გამოდიოდენ კინემატოგრაფიდან, მათ თავს დაესხენ ამერიკელები და დაუწყეს ცემა. იაპონელებმა, შეიტყვეს რა ეს ამბავი, მივიდენ საფრანგეთის კონცესიებზე. ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაუწყეს მათ თოფის სროლა. შეტაკების დროს დაიჭრა 11 იაპონელი და 2 ამერიკელი.

მთიელთა რესპუბლიკის უკანასკნელი დღეები

თუ რა მდგომარეობაში იყო მთიელთა რესპუბლიკა გენ. დენიკინის შემოსევის წინა დღეებში, ამის სურათს იძლევა მთიელთა პარლამენტის წევრის, ინგუშის აბუბეკირ პლიევის წერილი რედაქციისადმი და პარლამენტის უკანასკნელი (23 მაისის) სხდომის ანგარიში, რომლებიც აქვე მოგვყავს:

ბ-ნ პლიევის წერილი.

ვინაიდან მთელი ქართველი საზოგადოება დიდი ყურადღებით და ინტერესით მოეპყრა თემირ-ხან-შურაში მომხდარ ამბავს, საჭიროა ნათლად გამორკვევა იმისა, რაც იქ მოხდა. ამიტომ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ მთიულეთის პარლამენტის უკანასკნელი სხდომის ოქმს. ამ ოქმში ერთის მხრით ნათლად იხატება ხალილოვის, კოცევის და ტარკოვსკის საზიზღარი მუხანათობა, მეორეს მხრით, ოქმი ნათელს ჰფენს იმას, თუ რამდენათ ძლიერია მთიულეთის ხალხში დამოუკიდებლობის იდეა. მთიულეთის ხალხი არასოდეს არ აპატიებს ამ იუდა-გამცემლებს ასეთ საზიზღროების ჩადენას და პასუხის მოთხოვნის ჟამი იქნება მრისხანე და სასტიკი. ერთხელ კიდევ დაუმტკიცდება კაცობრიობას, რომ ღალატზე თავის ბედნიერებას ვერავინ ააშენებს. თავისუფლების მოყვარული დაღესტანი დღეს თავისივე თვალებით ხედავს, რომ ის ხალხი, რომლებსაც [illegible] აბარა თავისი ბედი, [illegible] ნიარაღს აძლევს მიმართულებას — [illegible] მტერ ყაზახთა გენერლებს.

იმ დღეებში დაღესტანმა დაინახა, თუ როგორ ბრწყინვალეთ და მოწიწებით გაემგზავრა კოცევი მოხალისეთა ორკესტრის თანხლებით ეკატერინოდარში. ეს ის კოცევია, რომელსაც მთიულეთის ხალხმა სამჯერ გამოუცხადა ნდობა. კოცევზე ყრუ ხმები დადიოდა, მაგრამ მთიელებს არ სჯეროდათ, რომ მთიულეთის შვილი შესძლებს საშობლოს ღალატს. და როდესაც გენერალმა მალსაგოვმა (ინგუშეთის მართველია) თქვა: კოცევი დენიკინის სამსახურში არისო,—ხალხმა ეს უარყო და ამ ცნობას პროვოკაცია უწოდა. ბევრი ისწავლეს მთიულებმა; მომავალში ისინი ადვილათ არ შეცდებიან. მთიელები სამოც წელიწადს ებრძოდნენ თვითმპყრობელ რუსეთს თავიანთ თავისუფლებისათვის. ამ გვარსავე ბრძოლას განაგრძობენ იმ იმედით, რომ მომავალში გვერდში ამოუდგებიან თავიანთ თანამოძმე თავისუფალ საქართველოს და ადერბეიჯანის ხალხს. ყოველ მთიელში ჯერ კიდევ სცოცხლობს ჩვენი იმამ შამილის ჩრდილი,—ჩვენ ჯერ არ დავხოცილვართ და კიდევ შეგვწევს ძალა გავუმკლავდეთ ჩვენი თავისუფლების დამთურგვნელ ყვავ-ყორნებს. მთიელთა პარლამენტის წევრი ინგუშებიდან **აბუბეკირ პლიევი.**

უკანასკნელი სხდომა ჩრდილო კავკ. რეპუბ. საბჭოსი (პარლამენტის).

23 მაისი, 1919 წ. ქ. თემირ-ხან-შურა.

კრება გახსნა თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა პენზულაევმა. ხალილოვის კაბინეტის მთელი შემადგენლობა დაესწრო სხდომას. დეპუტატებს აღელვება ეტყობათ; წაიკითხეს მოხალისეთა ლაშქრის უფროსის დეპეშა; მოითხოვენ, რომ დათხოვნილ იქნას პარლამენტი და გადადგეს აგრეთვე მთავრობა. ამ სხდომაზე იმყოფება მოღალატე თავადი ნ. ტარკოვსკი,—დაღესტნის მმართველი, რომელიც დანიშნა გენ. ლიახოვმა. ტარკოვსკი მოსული იყო პეტროვსკიდან და მოხალისეთა სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებას მთიელთა მთავრობასთან. სხვათა შორის, ამ სხდომას დაესწრენ დაღესტნის პოლკის ოფიცერთა მთელი შემადგენლობა, რომელთა სახის გამომეტყველებაც მოწმობდა მათ სიხარულს.

დადგა საბედისწერო კითხვის გადასაწყვეტი ჟამი— მთიელთა რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. სამინისტროს თავმჯდომარე გენერალ მაიორი ხალილოვი აკეთებს რიგ გარეშე განცხადებას და სრულიად დაუსაბუთებლად აცხადებს, რომ მთავრობა გადადგა. ეს განცხადება უკამათოდ მიიღეს მხედველობაში. პარლამენტი გადადის მთავარ კითხვის გარჩევაზე.

დაღესტანის ფრაქცია გამოსთქვამს სურვილს, რომ სხდომა შესწყდეს და ეს კითხვა ფრაქციებში გაირჩეს. ჩეჩნების ფრაქციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ კარგათ იციან საითკენ აქვთ მიპყრობილი თვალები ეგრეთ წოდებულ დაღესტნის ხალხის „წარმომადგენლებს“, ისინი მოვალენი არიან ეხლავე განუცხადონ თავიანთი გულის ზრახვები პარლამენტს, დაღესტანის ფრაქციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კითხვა უმთავრესად მათ შეეხება და მიტომაც პასუხისმგებელნი ჩვენ ვართ. ჩვენ გვსურს ცალკე გავმართოთ თათბირი. სხვა ფრაქციები იძულებულნი იყვნენ დასთანხმებულიყვენ. და საღამოს 9 საათზე სხდომა შესწყდა. აფიცრებმა იქავე გამართა თათბირი ყველას თვალწინ. მთავარ ყურადღებას იპყრობდა მმართველი ნ. ტარკოვსკი, რომელსაც ოფიცრები ფეხქვეშ ეგებოდენ. სხდომა დიდხანს გრძელდება, საზოგადოება ღელავს, ისმის ჩურჩულით სხვადასხვა ჯგუფებიდან სიტყვები: „გაგვყიდეს“. როგორც იყო, გაისმა თავმჯდომარის ზარის წკრიალი და დაიწყო შეერთებული სხდომა.

ტრიბუნაზე ადის დაღესტნის წარმომადგენელი **აპაშევი** და აცხადებს შემდეგს: ვინაიდან მოხალისეთა ლაშქარი მოუახლოვდა დაღესტანს და რადგანაც მთავრობას არ ჰყავს თავის განკარგულებაში საკმაო შეიარაღებული ძალა, რომ დაუპირდაპიროს მტერს და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შარიატი გვიკრძალავს დალაშქრებას მტრის წინააღმდეგ მაშინ, როცა საკმაო ძალა არ მოგვეპოვება—და მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში დაღესტნის ფრაქციამ გადასწყვიტა შეასრულოს მოხალისეთა სარდლობის მოთხოვნილებანი—პარლამენტის დათხოვნა და მთავრობის ლიკვიდაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, აქა-იქ გაისმის ხმები: „დაღესტინის სირცხვილი“!

სიტყვას თხოულობს ჩეჩნების წარმომადგენელი **უსუფ-ხოდუი**. „შენსკენ არის მიმართული ჩემი სიტყვა,—მიმართა მან ჩრდილო-კავკასიის შარიატის წარმომადგენელს. აქ, ამ ტრიბუნიდან ერთი თვის წინათ გაისმოდა ხმა დაღესტნის სასულიერო პირებისა, რომლებიც მოუწოდებდენ ხალხს საღვთო ომი გამოეცხადებინათ შავი რეაქციისათვის. აქ, ამ ტრიბუნიდან ხმა მაღლა გაჰკივოდენ დაღესტნელები და ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდენ, ეხლა კი, ესენი დამფრთხალნი მტერს ნებდებიან. მაშინ იძახოდენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებლობის დასაცავათ და კერძოთ დაღესტნის. ჩვენ გვწამდა თქვენი სიტყვები და ფიცი. ასობით ქვრივ-ობლები, რომლებიც სისხლისაგან იცლებიან და მსხვერპლათ ეწირებიან ინგუშეთის თავისუფლებას, აქეთკენ იცქირებოდნენ და გელოდენ თქვენ, იმედი ჰქონდათ დენიკინის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის დროს დაეხმარებოდით. სამწუხაროთ, თქვენ სდუმდით. შავი ღრუბლები—საჩეჩნეთშიაც გამოჩდენ. თქვენ მაინც გაჩუმებული იყავით. ეხლა, ინგუშების და ჩეჩნების დამარცხების შემდეგ, საფრთხე თქვენ მოგელით. სად არის თავდაცვა, სად არის ფიცი და დაპირებანი, რომ დაიცავთ ხალხის თავისუფლებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე? ოხ, ალლახ! შენი სამღვთო წერილი დავიწყებას მიეცა, ნაცვლათ შენი მცნებისა, რომ ვინც განიზრახავს ხალხის თავისუფლების შელახვას, მას უნდა გამოეცხადოს, სამღვთო ომი დაივიწყეს და ნაცვლათ ამისა იზიარებენ იმ დებულებას, რომ თავი დახარონ მონურათ მტრის წინაშე. ჩრდილო-კავკასიის იმამო, შარიატის მოძღვარო, საიდან ამოიკითხე, რომ დაღესტანმა თავი დახაროს მტრის წინაშე? მიგვითითეთ, რა ადგილას არის ყორანში მოთავსებული, რომ მონურათ თავი უნდა დახაროს ხალხმა მტრის წინაშე? ჩვენც ვიცით შარიატი და ყორანი, მაგრამ იქ არ არის ასეთი ადგილი, არის იქ მოხსენებული ის, რომ ერთ ასეულ რაზმს წინ უნდა აღუდგეს ერთი მორწმუნე, თუ ეს რაზმი მის თავისუფლების შელახვას მოინდომებს. გვიპასუხე, ჩვენ ვუცდით თქვენ პასუხს? (ტაშის ხმა მოისმის).

შეიხ-ულისლამის მოადგილე ზეზე წამოდგა; ხალილოვმა ის თავისთან მიიხმო და რაღაც წასჩურჩულა ყურში.

სიტყვა ეძლევა ინგუშეთის წარმომადგენელს **ა. პლიევს**. მე სრულიადაც არ მაკვირვებს დაღესტნელების განცხადება. არ გაუკვირდება დაღესტნელების პასუხი მათაც, ვინც იციან მათი წარსული, მაგრამ სთქვით გულახდილად და სინდისს ქვეშ: რათ დაიწყეთ ასეთი სახიფათო თამაში? რათ ატყუებდით ხალხს და მოუწოდებდით მას მახვილი აეღო ხელში? თქვენ ხალხს ცარიელი სიტყვებით და ფიცით კვებამდით! რისთვის? მიიხედეთ ადერბეიჯანისა და საქართველოსკენ. ნუთუ თქვენი სახე არ გაწითლდება მას შემდეგ, რაც ითქვა ამ მოძმე ერებს შორის და ეხლა კი, მათ ზურგში მახვილის ჩაცემას უპირებთ. მე ეხლა დავბრუნდი თფილისიდან. იქ ჩვენი წარმომადგენლები მიიღეს როგორც მოძმენი, და მუშაობენ კონფერენციაზე: აქ კი ღალატი მზადდება. ბევრს არ ვილაპარაკებ, მთელი წლის ლაპარაკმა არავითარი სიკეთე არ მოგვიტანა, მაგრამ იცოდეთ, დაღესტნელებო, ჩვენ ინგუშები მთიელთა მთავრობასთან ერთად გმირულად დავიხოცებით და მოღალატურათ კი თავს არ გავიყიდით. (ეს სიტყვა წარმოითქვა ინგუშთა ენაზე. თარჯიმანმა არ გადასთარგმნა, როგორც საჭირო იყო და უკანასკნელი სიტყვები, სადაც ორატორი ამბობდა, რომ სახელოვნათ დავიხოცებითო, სრულიად გამოსტოვა).

სიტყვა აიღო **შეიხ-ულ-ისლამის** მოადგილე: მე ჩემს თანამდებობას ვასრულებ მხოლოდ 15 იანვრიდან და იმიტომაც არ შემიძლია ვუპასუხო უსუჰ-ხაჯის, ინგუშებს და ჩეჩნების ომის შესახებ, რომელსაც ისინი აწარმოებენ მოხალისეებთან. (ჩეჩნების და ინგუშების სავარძლებიდან ხმებია: „ხალილოვმა დაარიგა“) რაც შეეხება დაღესტანს, მე ვაცხადებ, რომ შარიატი არ გვაძლევს უფლებას შევებრძოლოთ მოხალისეებს, რადგანაც არ გვყავს საკმაო ძალა. (ხმები: სადა სწერია ეგ? იმამი ასახელებს შარიატის იმ ტომს, სადაც სწერია. მას მოჰყავს ადგილები ყორანიდან, მისი პასუხი არ არის გარკვეული. იმამი ათავებს თავის სიტყვას, ხალხი მას დაცინვით ისტუმრებს ტრიბუნიდან.

შემდეგ ლაპარაკობს ჩეჩნების წარმომადგენელი **აბდულ-ხალიმ-მულა**, რომელიც ამტკიცებს, რომ სრულიად უსაფუძვლო იყო განცხადება იმამის. ორატორი გმობს მოღალატე და გამყიდველების საქციელს. (მოლას სიტყვა, რომელიც მკაცრი იყო, არ გადათარგმნეს).

კამათი შესწყდა. თავმჯდომარე კენჭს უყრის დაღესტნელების ფრაქციის წინადადებას. ორსმუკაევი (ჩეჩენი) ეკითხება აპაშევს, რამდენი ხნით ითხოვენ პარლამენტს. აპაშევს არ სურს პასუხი გასცეს, როდესაც რამდენჯერმე ანალოგიური კითხვა დაუსვეს მას, აპაშევმა განაცხადა: პარლამენტის დათხოვის დრო არ არის განსაზღვრულიო. დაღესტნელების წინადადება ყველა ფრაქციებმა ერთხმათ უარყვეს. მაშინ აპაშევმა განაცხადა, რომ დაღესტნის ფრაქციამ იცოდა რა, რომ კენჭის ყრით მათი წინადადება უარყოფილი იქნებოდა, დამავალა მე განვაცხადო, რომ დაღესტნის ფრაქცია შეუძლებლათ სცნობს იმუშაოს პარლამენტში და არც შესაძლებლათ მიაჩნია დაღესტნის ტერიტორიაზე იმყოფეფოდეს დღევანდელი პარლამენტი. ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს პარლამენტის სხდომას დახურულათ. სამარისებური სიჩუმეა. ერთი მოხუცი თვალცრემლიანი ლამობს რაღაცის თქმას, მაგრამ მისი ხმა აფიცრების ხმა მაღლა ლაპარაკში იკარგება.

„ბატონებო! სმენა, გაჰკივის გენერალ მაიორი ხატი მურატი—მთავარ-სარდალი ქ. შურის, რადგან პარლამენტი დათხოვნილია და მთავრობაც აღარ არსებობს, მე ჩავიბარე ქალაქის ძალა-უფლება და ვაცხადებ, რომ ქალაქიდან გასვლა ჩემდა ნება დაურთველათ აღკრძალულია. და ვინც არ დაემორჩილება ჩემს განკარგულებას, შეპყრობილი იქნება და გადაეცემა სამხედრო სასამართლოს. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ხვალვე გავიდენ ქალაქიდან მთავრობის წევრებს კი ევალებათ თავიანთ მოქმედების ანგარიში წარუდგინონ სადაც ჯერ არს.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 1 ივლისს შესდგა თფილისის არტილერიის საწყობის და არსენალის პარტიული მუშების კრება. დღის წასრიგში იყო: 1) შეერთების შესახებ და 2) ქვეკოლექტივის არჩევნები. მოისმინა რა კრებამ მოხსენება არტილერიის საწყობის და არსენალის შეერთების შესახებ, აღფრთოვანებით ეგებება ამ საკითხს და უსურვებს განუყოფელ და ენერგიულ მუშაობას; 2) ქვეკოლექტივში არჩეულ იქნენ: შალვა მეგრელიშვილი, თომა მაღლარია, კოწია კოპალეიშვილი, ლევან მამალაძე. მინაევი პეტრე, სეფერთელაძე ვანო, ტერტერაშვილი გიორგი, ხავთასი არტემ, ანთიძე ლავრენტი, ჯანაშია გიორგი, ვარსიმაშვილი ალექსანდრე; კანდიდატებათ: საბაშვილი ლეონ, კერნერი, ბალანჩივაძე პოლისტე, მთვრალაშვილი აბრამ, მამალაძე ლავრენტი, მეფარიშვილი მოსე. კრების შემდეგ მოხდა ქვეკოლექტივის წევრების კრება. აირჩიეს პრეზიდიუმი: თავჯდომარეთ კოწია კოპალეიშვილი, მდივნათ—შალვა მეგრელიშვილი. კრებამ გადასწყვიტა ქვეკოლეკტივის კრება ხდებოდეს ყოველ პარასკევობით დღის 2 საათზე.

შ. მეგრელიშვილი.

მუშათა შორის

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ცხოვრებაში მუშათა ორგანიზაციებს პროფესიონალური კავშირების სახით, ეს დღეს, თითქმის ყველა მუშებისთვის ნათელია და არა მგონია ჩვენს მუშებში იყოს ორი აზრი ამ საკითხის შესახებ. მუშათა კლასის ვალია დარაზმვა თავიანთ ორგანიზაციებში—პროფესიონალურ კავშირებში და შექმნა იმ ნიადაგისა, რომელიც აუცილებელი პირობაა მუშათა კლასის საბოლაო მიზნისათვის. და რომ ეს ასე მოხდეს, საჭიროა თვალყური ვადევნოთ პროფესიონალურ კავშირების გამგეობის მოქმედებას, ვიყოლიოთ გამგეობაში შედარებით მეტი მცოდნე პროფესიონალურ მოძრაობისა, გულშემატკივარი მუშათა საქმისთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ასეთ კავშირებს შეუძლია ღირსეული სამსახური მუშათა კლასისა და ის არას დროს არ გადაიქცევა ავანტიურისტების სათარეშოთ, როგორც ეს მოხდა, სამწუხაროდ, ზოგიერთ პროფესიონალურ კავშირებში.

ამხ. მუშებო! თქვენ იცით, თქვენი პროფესიონალური კავშირის გამგეობის არჩევნები მოხდება დღეს, 10 ივლისს, ამ არჩევნებში ჩვენს გარდა გამოდიან საკუთარი სიით: რუს. ცოც დემ. მუშ. პარტია, ესერები, სოც. ფედერალისტები და დაშნაკელები. ამხ. მუშებო! თქვენ იცით თითეულ ზემო ჩამოთვლილ პარტიის მოღვაწეობა ჩვენში და თქვენი ვალია ღირსეულად დააფასოთ იმათი მოღვაწეობა. ამხანაგებო! ჩვენი პარტია გამოდის ამ არჩევნებში № 1 სიით. თუ გინდათ პროფესიონალური კავშირი იდგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე, სწორედ იცავდეს თქვენს ინტერესებს, ხმა მიეცით საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის სიას № 1.

არტემ ოფეთელი.

პროვინცია

ზუგდიდი. 8 ივნისს ზუგდიდში მოხდა ზუგდიდის მაზრის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 114 დელეგატი. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. შენგელაია. ყრილობის მიზანი იყო 1918 წელში გამგეობის მოქმედების განხილვა, მოგების განაწილება, 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება და სხ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გასულ წელში კავშირის გამგეობაში შედიოდა სამი კაცი: ტ. ლატარია (ს. დ.) ვ. კედია (ს. ფ.) და ს. ცხაკაია (ს. ფ.), აქედან ვ. კედია გარდაცვლილა, ცხაკაია კი რუსეთში წასულა და მუშაობის სიმძიმე ბ. ლატარიას დაწოლია სავსებით. მიუხედავათ ამისა კავშირის საქმეები არ დაბრკოლებულა და ჯეროვანი მსვლელობა ჰქონია, წლის განმავლობაში კოოპერატივს მოუგია 372,000 მან. ეს მოგება ყრილობამ ასე გაანაწილა: სახელმწაფო უნივერსიტეტის და თეატრის ბილეთების შესაძენათ 15,000 მ. კოოპერატიული სკოლისათვის თფილისში 25,000 მ., კურსების სტიპენდიისათვის 15,000 მან., სახალხო სახლისათვის ქ. ზუგდიდში 40,000 მან., მოსამსახურეთა კლუბისათვის 10,000 მან., სახალხო გვარდიას 6,000 მან,, რესპუბლიკის ჯარს 6,000 მ., დასახიჩრებულ მეომართ ერობის კასაში შესანახად 10,000, ყოფილ გამგეობის წევრის განსვენებულ ვ. კედიას ქვრივ-ობლებს და დედას 5,000 მ., ზუგდიდის და სამუზარყანოს სასწავლებელთათვის 27,000 მან. უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა ფონდისათვის 5,000 მან., სტიქიური უბედურების ფონდისთვის 5000 მან., ზუგდიდის გიმნაზიის შენობისათვის 5,000 მ. ზუგდიდ-სამურზაყანოს ბიბლიოთეკებისთვის 3,000 მან. ყრილობა ზოგიერთებმა პარტიული კინკლაობის საგნად გაიხადეს და ბევრი უსაფუძვლო ბრალდება წამოაყენეს ტ. ლატარიას წინააღმდეგ, მაგრამ ხალხის ბრძნულმა სულმა გაამართლა ის და ნდობა გამოუცხადა მას. 89 რწმუნებულისაგან 87-მა მას მისცა ხმა. ამ რიგათ, სოც.-ფედერალისტების „კოოპერატიული პოლიტიკა“ დამარცხდა და გამგეობაში არჩეულ იქნენ: ტ. ლატარია (ს. დ.), ს. ხუბულავა (ს. დ.) და ი. ოდიშარია (ს. რ.).

დამსწრე.

ფოთი. 17 ივნისს 1919 წ. პირველი შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარისკაცთა მიერ წარმოდგენილ იქნა ყაზბეგის ცნობილი პიესა „არსენა“ და ერთ მოქმედებიანი რუსული ვოდევილი „გატეხილი სარკე“. უკრავდა სამხედრო მუსიკა. ყოველივე ხარჯების გამოკლებით წმინდა შემოსავალი დარჩა 4031 მ., რომელიც გადაიდო იმავე რაზმის ჯარისკაცების სამკითხველოს დასაარსებლათ. რაზმის ჯარისკაცების სახელით ულრმეს მადლობას უძღვნი სცენაზე მოთამაშეთ, რეჟისორ ბ-ნ ხარაზიშვილს, ბ-ნ მიშა ხაფთასს, ქ-ნ თ. კამკიას ქალს, თამარა ქაქუთიას ქალს, ქ-ნ ლუკიანოვას, პორუჩიკ ანანიაშვილს, მირიან ჩხიკვიშვილს, გიორგი ჭყონიას, შტაბს-კაპიტან მაჭავარიანს და აგრეთვე მესამე ქვეითა რაზმის მუსიკალურ გუნდს. ამასთანავე მოვუწოდებთ ყველა საზოგადოების გულშემატკივარ პირებს, ვისაც სწამს ჩვენი ჯარის გონებრივათ აღზრდა-განვითარება, ნივთიერი დახმარება გაუწიონ ჩვენს ახლად დაარსებულ სამკითხველოს. ყველანაირი შემოწირულება, ფულათ იქნება, წიგნებით, თუ ჟურნალ-გაზეთების გამოწერით, გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქ. ფოთი, 1-ლი შავი ზღვის სანაპირო რაზმის სამკითხველოს გამგეობას.

ჯარისკაცების მონდობილობით

მირიან მგელაძე.

წერ. რედაქციის მიმართ

ვინაიდან მდოგვსა და კ. ბერძენიშვილს შორის დანიშნულ სამედიატორო სასამართლოს გასარჩევ მასალას აქვს ახლო კავშირი ჩემსა და შლენგს შორის ატეხილ დავასთან და რადგან შლენგმა, რომელიც აღმოჩნდა ისევ ბერძენიშვილი, ჩემთანაც დაასახელა იგივე მედიტორეები, ამის გამო ჩემი საქმის გარჩევას ვანდობ მდოგვსა და ბერძენიშვილს შორის შემდგარ სასამართლოს და მდოგვის მედიატორეებს გრ. ურატაძეს და ი. ბადრიძეს ვასახელებ ჩემს მედიატორეებათაც.

რაც შეეხება დამნაშავის სასჯელს, მე ვადგიკარ ჩემსავე აზრს, რადგან სამედიატორო სასამართლოს მოვალეობის სრულიადაც არ შეადგენს სასჯელის განსაზღვრა, რაც ბერძენიშვილმა ახლა მაინც უნდა გაიწიოს.

ბ. ფალიკიანი.

განცხადებანი

იყიდება სავაჭრო

მიხეილის ქ. № 131 «აპოლოს» ახლოს, იკითხეთ იქვე.

განცხადება

ქალაქ სამტრედიაში ვყიდი ყოველ გვარ მოწყობილებას

ერთი აფთიაქისათვის.

შკაფებს, შტანგლაზებს, სასწორებს გირებით და სხვა მოწყობილებას მსურველს. შეუძლია იყიდოს წამლებიანათაც, მისამართი ქ. სამტრედია ფარმ. ალ. მელქაძესთან. (5—3)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსეავალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ქალი **რ. ბ. ფიშლო.-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**

გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმ **ჯ. თ. ტყეშელაშვილის**

საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესე ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებისა, შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.